



სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი
მუშაობის შეფასების წესი
დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 20 ნოემბერს
(დადგენილება N18/1)

პრეამბულა

საქართველოს კანონის ”უმაღლესი განათლების შესახებ” 21 მუხლის ”რ” ქვეპუნქტის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭო „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს“ (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“- მუხლი 21, ქვეპუნქტი „რ“).

ამასთან, სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის ძირითად ვექტორია:

„ა) ხელოვნების დარგების (პრიორიტეტულად - თეატრალური ხელოვნების, აუდიოვიზუალური (კინო და მედიახელოვნება) ხელოვნების, ტრადიციული ქართული ქორეოგრაფიული და სამუსიკო ხელოვნების) განვითარება და მათი კვლევა (ხელოვნების ისტორია და თეორია, თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ქორეოლოგია, მუსიკოლოგია, მედიის კვლევები). ამ დარგებში აკადემიური უმაღლესი განათლების უზრუნველყოფა;

ბ) მაღალი რანგის პროფესიონალების აღზრდა. მომავალ ხელოვანთა შემოქმედებითი პოტენციალის განვითარება და ხელოვნების მეშვეობით მისსავე წიაღში სწავლისა და დასაქმების შესაძლებლობის შეთავაზება;

გ) სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლების ფორმირება ორი ძირითადი ორიენტირით – საშემსრულებლო/შემოქმედებითი უნარების განვითარებითა და ხელოვნების შესაბამისი დარგების თეორიული კვლევების საშუალებით – ხელოვნების შესაბამისი დარგებისათვის დამახასიათებელი მეთოდებისა და მიღწევების შესწავლა და კვლევა... etc.“

(სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია).

აქედან გამომდინარე, ხელოვნების მიმართულების სპეციფიკის გათვალისწინებით, აღნიშნული ნორმატიული დოკუმენტი წარმოადგენს სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს, სადაც თითოეული აღნიშნული კომპონენტი თანაბრად მნიშვნელოვანია უმაღლესი აკადემიური სახელოვნებო განათლების კონტექსტში.

მუხლი 1. პროცედურები

1. საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" 21 მუხლის "რ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომ ტექსტში - „უნივერსიტეტი“) აკადემიური პერსონალის სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასება ხდება შესაბამისი სტანდარტების უზრუნველყოფითა და ამ სტანდარტების შესრულების მონიტორინგის პროცედურების მიხედვით.
2. შეფასების ძირითადი მიზანია სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის ამაღლება, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგი. შეფასების ანალიზის შედეგად შემუშავდება წინადადებები და რეკომენდაციები როგორც სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესების, ასევე, სწავლების ფორმების, საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფისა და მათი სტრუქტურის დახვეწის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ.
3. უნივერსიტეტის ყოველწლიური სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასება ხორციელდება სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანალიზის საფუძველზე.
4. უნივერსიტეტის სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ დასკვნას ადგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უნივერსიტეტის აკადემიური, შემოქმედებითი და სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთაგან მიღებული შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე, სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანალიზის ურთიერთშეჯერების გზით.
5. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამ წესით დადგენილ ვადებში შესაბამისი ფაკულტეტების, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დეპარტამენტისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების (ინსტიტუტი/ინსტიტუტები) დახმარებით ახორციელებს ამ წესით გათვალისწინებული სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასებას. ზემოაღნიშნული მიზნით შეფასების პროცედურული

მიმდინარეობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შესაბამისი ფაკულტეტების, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დეპარტამენტისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების (ინსტიტუტი/ინსტიტუტები) მონაწილეობით.

6. უნივერსიტეტის ფაკულტეტები და მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დეპარტამენტი ინსტიტუტის/ინსტიტუტების დახმარებით ახორციელებენ უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანალიზს ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ფორმებით. ფაკულტეტებიდან /ინსტიტუტებიდან ინფორმაციის წარმოდგენა ხორციელდება შემდეგი წესით:

ფაკულტეტები, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დეპარტამენტი, ინსტიტუტი/ინსტიტუტები უზრუნველყოფენ სასწავლო კომპონენტის, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასებისათვის აუცილებელი (მოთხოვნილი) ინფორმაციის (იხ. დანართი 1) წარდგენას წელიწადში ერთხელ - არა უგვიანეს 20 სექტემბრისა.

7. ფაკულტეტების, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დეპარტამენტის, ინსტიტუტის/ინსტიტუტების მიერ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადებული ანალიზი, არა უგვიანეს 10 ოქტომბრისა, მიეწოდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების დასკვნის ფორმირების მიზნით.
8. ყოველწლიური სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების დასკვნა შესაბამისი რეკომენდაციებითა და უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობის სრულყოფის წინადადებებით ყოველი მომდევნო წლის 01 ნოემბრამდე წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.
9. წარდგენილი დასკვნის საფუძველზე აკადემიური საბჭო კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი ღონისძიებების დაგმვასა და გატარებას.

მუხლი 2. პროფესორთა დატვირთვა

1. უნივერსიტეტში პროფესორის დატვირთვა 47 კვირა 40 საათი = 1880 საათი არ არის დამოკიდებული კრედიტის რიცხოვრივ მახასიათებელზე, თუმცა, გარკვეულ წილად, ის მაინც უკავშირდება კრედიტულ გათვლას. სრულ საშტატო დატვირთვაზე მყოფი პროფესორის დღიური დატვირთვა შეადგენს 8 საათს, ხოლო წელიწადში 1880 საათს. მათ შორის - 500 საათი საკონტაქტო დრო, 1380 საათი დამოუკიდებელი დრო: 690 საათი - სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის გამოყოფილი დრო და 690 საათი თვითგანვითარებაზე მუშაობისათვის გამოყოფილი დრო). აქედან მისი, როგორც პროფესორის, სტუდენტზე დახარჯული დრო გულისხმობს შემდეგი სახის საქმიანობას:

- საკონტაქტო დრო:
 - ა. ლექცია და სამუშაო ჯგუფში მუშაობა/სემინარი (ანაზღაურებადი);
 - ბ. ლაბორატორიული მეცადინეობა (ანაზღაურებადი);
 - გ. შემოქმედებითი სახელოსნო (სტუდიური - ხელოვნების/საშემსრულებლო ხელოვნების მიმართულებისთვის) მუშაობა (ანაზღაურებადი).
- დამოუკიდებელი დრო:
 - ა. საშინაო ან სხვა სახის დავალებების შესრულება (ანაზღაურებადი);
 - ბ. საკურსო, სადიპლომო, სამაგისტრო, სადისერტაციო შრომების/შემოქმედებითი პროექტების ხელმძღვანელობა (ანაზღაურებადი);
 - გ. პრაქტიკის ხელმძღვანელობა (ანაზღაურებადი);
 - დ. სამეცნიერო პროდუქციის შექმნა (ანაზღაურებადი);
 - ე. სახელოვნებო-შემოქმედებითი პროდუქციის შექმნა (ანაზღაურებადი).
- სასწავლო-მეთოდური პროდუქციის შექმნაზე მუშაობა (ანაზღაურებადი).
- თვითგანვითარება და პროფესიული ზრდა (ანაზღაურებადი).

2. ამ ჩამონათვალში საშტატო საათების შესრულება ერთი საშტატო ერთეულისთვის შემდეგნაირად ნაწილდება (ზედა ზღვარი გულისხმობს 1880 საათს წელიწადში, - მათ შორის პირობითად: 500 საათი საკონტაქტო დრო, 1380 საათი დამოუკიდებელი დრო: 690 საათი - სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის გამოყოფილი დრო და 690 საათი - თვითგანვითარებისთვისა და პროფესიული ზრდისთვის გამოყოფილი დრო). სემესტრში ეს დატვირთვა უტოლდება 940 საათს ($1880 : 2 = 940 - 250 \times 345 \times 345$).

3. აღნიშნული დატვირთვა აკადემიური წელიწადის მანძილზე შემდეგნაირად რანჟირდება: 47 (აქედან - 40 კვირა აკადემიური კალენდრით გათვალისწინებული. მათ შორის - 30 კვირა (15+15) სააუდიტორიო მეცადინეობებისათვის, 10 კვირა შუალედური და დასკვნითი (მათ შორის როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი გამოცდებისთვის) კვირის მანძილზე კვირაში 40 საათიანი გრაფიკით მუშაობა ($47 \times 40 = 1880$). ეს არის დაყოფა თანაბრობის პრინციპით და უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის საათების განაწილების საფუძველი. უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეცვალოს დაყოფის აღნიშნული სისტემა საკუთარი მიზნების შესაბამისად და დააწესოს ნორმები.

4. საათობრივი დატვირთვა: გულისხმობს სააუდიტორიო/საკონტაქტო დროის გათვლას დამატებული შესასრულებელი სამუშაოს განსაზღვრას და გადაყვანას საათებში, რაც პირობითად წარმოდგენილია შესაბამის დანართში (იხ. დანართი 1).

5. პროფესორის დატვირთვის დადგენა ინდივიდუალურია ყველა ფაკულტეტისთვის და აუცილებელია საკონტაქტო დროის მიღმა აკადემიური პერსონალის ინტელექტუალური და აკადემიური პოტენციალის სრულად გამოყენებისათვის; საუნივერსიტეტო სტრატეგიისა და პოლიტიკის ეფექტურად განხორციელებისათვის:

- პროფესორი - სრული დატვირთვის 15% - 270 საათი - სასწავლო - სააუდიტორიო; 85% - 1610 საათი - შემოქმედებითი პროდუქცია/სამეცნიერო კვლევები და თვითგანვითარება.
- ასოცირებული პროფესორი - სრული დატვირთვის 20% - 360 საათი - სასწავლო - სააუდიტორიო; 80% - 1520 საათი - შემოქმედებითი პროდუქცია/სამეცნიერო კვლევები და თვითგანვითარება.
- ასისტენტ პროფესორი - სრული დატვირთვის 25% - 450 საათი - 75% - 1430 საათი - შემოქმედებითი პროდუქცია/სამეცნიერო კვლევები და თვითგანვითარება.
- ასისტენტი - სრული დატვირთვის 100% - დან: სწავლება - 30% - 540 საათი; 70% - 1340 საათი - თვითგანვითარება.

6. უნივერსიტეტის პროფესორთა მინიმალური საკონტაქტო დატვირთვის აუცილებელი ნორმატივებია:

- პროფესორი - 6 საათი კვირაში;
- ასოცირებული პროფესორი - 8 საათი კვირაში;
- ასისტენტ პროფესორი - 10 საათი კვირაში;
- ასისტენტი - 12 საათი კვირაში.

- უნივერსიტეტის პროფესორთა არასაკონტაქტო, სამეცნიერო - კვლევითი დატვირთვის სრული სპექტრი პირობითად მოცემულია დანართში (იხ. დანართი 1).

მუხლი 3. სტუდენტთა დატვირთვა

1. უნივერსიტეტის სტუდენტთა დატვირთვის გაანგარიშება განსხვავებულია. სტუდენტი მუშაობს 40 კვირა - აკადემიური კალენდრის შესაბამისად (აქედან - 30 (15+15) კვირა სააუდიტორიო, 10 კვირა შუალედური და დასკვნითი (მათ შორის როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი გამოცდებისთვის), თუმცა, მისი წლიური დატვირთვა უკავშირდება სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული კურიკულუმის მიხედვით წარმოდგენილი დისციპლინების ჯამურ აკადემიურ კოეფიციენტს. კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად - ესაა წელიწადში საშუალოდ 60 კრედიტი X 25 საათი = 1500 საათი. აქედან:
2. ყოველკვირეული საკონტაქტო დატვირთვა პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით მოთავსებულია საშუალოდ 20 საათიან საზღვრებში, თუმცა - ხელოვნების/სამემსრულებლო ხელოვნების მიმართულების სტუდენტთათვის ამას

ემატება პედაგოგთან ინდივიდუალური მუშაობის პირობითი, ე.წ. „სტუდიური“ საათების რაოდენობა - საშუალოდ, 20 საათი კვირაში;

3. თუ სტუდენტი აუდიტორიაში საკონტაქტო დროით წელიწადში დახარჯავს საკუთარი დროის (საერთო საკრედიტო კოეფიციენტის) ნაწილს, მაგ. 500 საათს, მას დამოუკიდებელი მუშაობისათვის დარჩება: $1500 - 500 = 1000$;

4. სასწავლო პროცესი გათვლილია სემესტრში საშუალოდ - 30, წელიწადში საშუალოდ - 60 კრედიტიან (მაგრამ, არაუმეტეს 75 კრედიტისა) დატვირთვაზე;

5. 1 საუნივერსიტეტო კრედიტი ტოლია 25 აკადემიური საათის;

6. სემესტრში სტუდენტი გაივლის საშუალოდ 6 – 10 საგანს, გამომდინარე ამ საგნის აკადემიური კოეფიციენტიდან (მოცულობა კრედიტებში);

7. თითოეული საგანი შეიძლება დაიყოს კვირაში საშუალოდ 2 – 4 ან მეტ სალექციო, ჯგუფში სამუშაო, სასემინარო და პრაქტიკული მეცადინეობის საკონტაქტო შეხვედრად. დანარჩენი დრო სტუდენტმა უნდა გამოიყენოს დამოუკიდებლად, საკუთარ თავზე სამუშაოდ;

8. კრედიტით გამოითვლება სტუდენტის მიერ თითოეული დისციპლინის შესწავლაზე დახარჯული დრო (ის დრო, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის დატვირთვას და აფასებს მისი შრომის ნაყოფიერებას ან ეფექტურობას, დრო, რომელსაც მოჰყვა შედეგი. კრედიტის არსებობის წესი განპირობებულია სამი პარამეტრით - სააუდიტორიო-საკონტაქტო დრო, სასწავლო მასალის მოცულობა და საგნის შესწავლაზე დახარჯული, შედეგის მომტანი დრო).

მუხლი 4. შეფასების ფორმები

1. უნივერსიტეტის სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასება ხორციელდება შემდეგი ფორმებით: საგანმანათლებლო პროგრამებისა (კურიკულუმის) და შესაბამისი სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსის) შემოწმება; მეცადინეობებზე დასწრება; შემოქმედებითი და სხვა ტიპის ლაბორატორიების, შემოქმედებითი სივრცის (სცენა, სტუდია, სახელოსნო და სხვ.), ტექნიკური ბაზისა და აუდიტორიების აღჭურვილობისა და მათი მდგომარეობის შემოწმება; აკადემიური, მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალის კომპეტენტურობის დადგენა; სტრუქტურული ერთეულების შემოქმედებითი პროექტების, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმებითა და სამეცნიერო გრანტებით გათვალისწინებული სამუშაოებისა და პროექტების შესრულების შეფასება; უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გამოკითხვა. შეფასება ძირითადად ხდება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებული სპეციალური კითხვარების საშუალებით. შეფასების დროს გამოყენებული უნდა იქნეს ქვემოთ მოცემული კრიტერიუმები.

2. შეფასების პროცესში ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს მეცადინეობების ხარისხის შემოწმებას. იგი განხორციელდება პერიოდულად სპეციალური კომისიის მეცადინეობაზე დასწრებით. კომისიის შემადგენლობაში შევა უნივერსიტეტისა და შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიების წარმომადგენლები. ორგანიზაციულ

საკითხებთან ერთად (რეგისტრაციის გავლა, მეცადინეობის დროული დაწყება, განხილული თემის შესაბამისობა სილაბუსში მოცემულ გეგმასთან და სხვ.), შემოწმდება მეცადინეობის წამყვანი პროფესორის ან მასწავლებლის შესაბამისი კომპეტენტურობების განვითარების დონე.

3. შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ფაქტორები წარმოდგენილია შესაბამისი დანართის (**იხ. დანართი 2**) სახით.